საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

06 დეკემბერი 2024 წ.

KA000034120865624

№ 2024/6986

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში [redacted] ექსტრადიციის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის, [redacted] და მისი ადვოკატების განცხადებები, რომლის თანახმად, [redacted] უფლებები შესაძლოა დაირღვეს, თუ განხორციელდება მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია.

მასალებისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების უფლებების დარღვევასა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის უსაფუძვლო განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მომზადებულია დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი [redacted] საექტრადიციო საქმისწარმოების მასალებისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით".[1]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.[3]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

ფაქტობრივი გარემოებები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] არის [redacted] ის მთავარი რედაქტორი და ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას. 2024 წლის [redacted] იგი დაკავებულ იქნა თბილისში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, მის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში მართლმსაჯულების შემდგომი განხორციელებისათვის.

2024 წლის [redacted] თბილისის საქალაქო სასამართლოს [redacted] განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და დასაშვებად იქნა ცნობილი [redacted] აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, ფულადი თანხის გამოძალვის ბრალდების ორი ეპიზოდისთვის.

განმცხადებელი, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას აღნიშნავდა, რომ მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო უსაფუძვლოდ, მის მიერ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირების კორუფციასა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მხილების გამო.

დაცვის მხარის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის [redacted] განჩინება, 2024 წლის [redacted] გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში (რეგისტრაციის [redacted]

სამართლებრივი დასაბუთება

ექსტრადიციის საკითხის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლებრივი გარანტიების დაცვას პირის მიმღებ სახელმწიფოში. ექსტრადიციის განმახორციელებელმა სახელმწიფომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს გადასაცემი პირის მიმართ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების რისკი.[4] რისკის შესაფასებლად აუცილებელია პირის მიმღებ სახელმწიფოში არსებული ვითარების გათვალისწინება.[5]

1. *აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობა*

ქვემოთ მოცემულ ინფორმაციაში აპარატი მიმოიხილავს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტების საქმიანობასთან და უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციის დეპარტამენტსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ამგვარი ინფორმაცია არ მოუძიებია, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს არ უსარგებლია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-10 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილებით, უცხო სახელმწიფოდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შესაბამისი თხოვნით მიემართა საქართველოს პროკურატურისთვის ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის.

შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია, არც გადაწყვეტილებებში/განჩინებებში ასახულა. აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვება ასევე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი, [redacted] საექსტრადიციო საქმისწარმოების მასალებში. შესაბამისად, [redacted] აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას გაცნობოდა ამგვარ ინფორმაციას და მის საფუძველზე მიეღო დასაბუთებული განჩინება [redacted] აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობასთან დაკავშირებით.

აპარატი ეყრდნობა რეგიონული/საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს, ანგარიშებს და კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

1.1. ევროპის საბჭო

აზერბაიჯანი 2001 წლიდან არის ევროპის საბჭოს (შემდგომში: „ევროსაბჭო“) წევრი. ევროსაბჭოს მრავალი ინსტრუმენტი აფასებს ქვეყანაში ჟურნალისტთა უფლებრივ მდგომარეობას. შეფასებებში მიმოხილულია

აზერბაიჯანში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული სირთულეები. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში ასახულია როგორც ზოგადი შეფასებები და რეკომენდაციები, აგრეთვე, კონკრეტული საქმეები.

1.1.1. საპარლამენტო ასამბლეას რეზოლუციები და შეფასებები

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ და ადამიანის უფლებათა საკითხთა კომიტეტმა 2023 წელს გამოაქვეყნა მოხსენება სახელწოდებით „ჟურნალისტთა და უფლებადამცველთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების საფრთხეები აზერბაიჯანში".[6] დოკუმენტში მიმოხილულია აზერბაიჯანელი ჟურნალისტების, ბლოგერებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების ზოგადი მდგომარეობა, მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, გატაცებების, დაპატიმრებისა და გასამართლების შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ქვეყანაში არსებულ მედია გარემოზე და ჟურნალისტთა რეპრესირების შემთხვევებზე, მათ წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობის ზრდასა და მათთვის მტრული გარემოს შექმნაზე. ევროსასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ინსტრუმენტების ბოროტად გამოყენებას აქვს ადგილი, რისი ერთი კარგად დადასტურებული მაგალითია ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ სისხლის სამართლის წესით განხორციელებული დევნის ღონისძიებები. მაგალითისთვის, კომისიას მოჰყავს დამოუკიდებელი საინფორმაციო პორტალის, *Xural Tv*-ის დამფუძნებლისა და მთავარი რედაქტორის ავაზ ზეინალის ქრთამის აღების მოტივით განხორციელებული დაკავება. ანგარიშში ასევე მოხსენიებულია დამოუკიდებელი საინფორმაციო გამოცემის *Azel.tv*-ის (ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი, [redacted] წარმოადგენს ამავე საინფორმაციო გამოცემის მთავარ რედაქტორს) რეპორტიორის სევინჯ სადიგოვასა და საინფორმაციო ვებგვერდ *Azadliq* ის რეპორტიორის ფატიმა მოვლამლის საპროტესტო აქციაზე პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს მომხდარი დაკავების შემთხვევები.[7] 2021 წელს აგრეთვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სულ მცირე 180 ჟურნალისტი (მათ შორის, 48 აზერბაიჯანელი) ხელისუფლების მხრიდან უკანონო თვალთვალისა და მიყურადების სამიზნე გახდა.

აღსანიშნავია, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მუდმივად აღიარებდა, რომ აზერბაიჯანში ჟურნალისტთა დევნის მწარდი შემთხვევები და მედიის თავისუფლების შეზღუდვა სისტემური ხასიათის პრობლემა იყო. შედეგად, საპარლამენტო ასამბლეა ანგარიშებში მუდმივად გამოთქვამს შეშფოთებას ჟურნალისტთა და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე. მაგალითისთვის, აზერბაიჯანის მიერ მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულების საინფორმაციო ჩანაწერი ჩამოთვლის გამოხატვისა და მედიის თავისუფლებისადმი მიმართული საფრთხეების ბოლოდროინდელ შემთხვევებს, მათ შორის, დამოუკიდებელი ჟურნალისტების დევნის მაგალითებს. დოკუმენტში ასევე გამოთქმულია წუხილი რომ ამგვარი საფრთხეები თანაბრად მიემართება არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებს, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სფეროში.[8] ანგარიშში დამოუკიდებელი ჟურნალისტების სისხლისსამართლებრივი დევნა უმთავრეს პრობლემად არის შეფასებული.[9]

2020 წლის 2317(2020) რეზოლუციაში „მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების საფრთხეები ევროპაში" მითითებულია აზერბაიჯანში არსებულ მტრულ გარემოზე, რომელიც სერიოზულად ზღუდავს მედიის თავისუფლებას, აგრეთვე, მითითება კეთდება სისხლის სამართლის კანონების ბოროტად გამოყენებასა და დამოუკიდებელ ჟურნალისტიკაზე ზეწოლაზე. ასამბლეამ მოუწოდა აზერბაიჯანს, აეკრძალა დამოუკიდებელი ჟურნალისტების გაჩუმებისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენება, ჟურნალისტებთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ მათ სისტემურად ემუქრებიან უსაფუძვლო ბრალდებებით და ყალბი მტკიცებულებებით გამყარებული დაუსაბუთებელი პატიმრობით.[10] ასამბლეამ სხვა რეზოლუციაში ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროსასამართლო") მზარდ პრაქტიკაზე, რომლებიც ეხებოდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, სამოქალაქო საზოგადოების წევრების, უფლებადამცველებისა და კრიტიკული ჟურნალისტების თვითნებურ დაკავებასა და მათთვის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების დარღვევას.[11]

შეჯამების სახით, აზერბაიჯანთან დაკავშირებით, ასამბლეა დიდი ხნის განმავლობაში, პერიოდულად და სისტემურად აფასებს გამოხატვისა და მედიის თავისუფლების მდგომარეობას და ამ თვალსაზრისით, აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანში ჟურნალისტები, უფლებადამცველებთან ერთად, ხშირად ექვემდებარებიან დევნისა და დაშინების არაერთ ფორმას, სწორედ თავიანთი პოზიციების გამოხატვის ან გამოხატვის თავისუფლებით სხვაგვარი სარგებლობის გამო. კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟურნალისტებთან მიმართებით ხელისუფლების ამგვარი რეპრესიული ქმედებები ძირს უთხრის ჟურნალისტების უსაფრთხოებას და ქმნის ძალადობის გარემოს განსხვავებული აზრის მქონე პირთა წინააღმდეგ.

1.1.2. ადამიანის უფლებათა კომისარი

ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის მოვალეობაა ადამიანის უფლებათა დაცვა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. კომისრის საქმიანობა მოიცავს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საკითხებში საკანონმდებლო და პრაქტიკული დარღვევების გამოვლენას.

ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა კომისრებმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება აზერბაიჯანში უფლებადამცველების, ჟურნალისტების, გამოხატვისა და მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.[12] ჯერ კიდევ 2013-2014 წლებში კომისრები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ აზერბაიჯანში ადგილი ჰქონდა განსხვავებული შეხედულების მქონე უფლებადამცველების, მათ შორის, ჟურნალისტების,

ბლოგერებისა და აქტივისტების გაუმართლებელი და შერჩევითი სისხლისსამართლებრივი დევნის პრაქტიკას. აღნიშნული შეფასებები უცვლელი იყო შემდეგ (2013, 2014, 2015, 2017, 2019 და 2020 წლების პერიოდებში) წლებშიც.[13] ანგარიშში კომისარი უთითებს, რომ ჟურნალისტები და სოციალური მედიის აქტივისტები, რომლებმაც გააკრიტიკეს ხელისუფლება ან გამოხატეს განსხვავებული აზრი, სხვადასხვა საფუძვლით დაკავებულები არიან ან იმყოფებიან პატიმრობაში. ხშირ შემთხვევაში ბრალდებები უკავშირდება პოლიციის დაუმორჩილებლობას, ხულიგნობას, გამოძალვას, გადასახადებისგან თავის არიდებას და ა.შ. ევროსასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, კომისარი აღნიშნავდა, რომ საქმე გვაქვს ხელისუფლების კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და უფლებადამცველების თვითნებური დაკავების/დაპატიმრების შემთხვევებთან, რომლებიც კანონის უზენაესობის საწინააღმდეგოდ, ხორციელდება შურის საძიებელი დევნისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გზით.[14] ჟურნალისტებისა და უფლებადამცველთა საქმეები კომისარის ყურადღების საგანი 2022 წელსაც გახდა. კერძოდ, კომისარმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მართლმსაჯულების ზეწოლის მეშვეობით (ე.წ. judicial harassment) დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების დაშინების პრაქტიკაზე.[15]

1.1.3. ევროსასამართლოს პრაქტიკა

ევროსასამართლომ მიიღო არაერთი განაცხადი აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისა და უფლებადამცველებისაგან, რომლებიც ეხებოდა ხელისუფლების მხრიდან მათი უფლებების დარღვევას სისტემური დევნისა და შევიწროების შედეგად. საუბარია იმგვარ ქმედებებზე, როგორიცაა უსამართლო ბრალდებების მეშვეობით სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენება ან იმ საჩივრების გამოძიებაზე უარის თქმა, სადაც მსხვერპლები ჟურნალისტები და უფლებადამცველები არიან. ამ გადაწყვეტილებათა ერთი ნაწილი მთლიანად ეხება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სისტემურ შემთხვევებს, თვითნებური სისხლის სამართლის სამართალწარმოების გზით, აგრეთვე შემთხვევებს, როდესაც დაკავებისა და რეპრესიის სხვა ფორმების გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების დასჯის მიზნით ხორციელდება.

ერთ-ერთი პირველი საქმე ამ თვალსაზრისით *არის ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Najafli v. Azerbaijan), [16]* რომელიც ეხება არაავტორიზებული დემონსტრაციის გაშუქების გამო ჟურნალისტის ცემას. სასამართლომ კონვენციის მე-3 და მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. მე-10 მუხლი დაირღვა *ავაზ ზეიანლოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Avaz Zeynalov v. Azerbaijan)* საქმეშიც. ამ საქმეში ჟურნალისტს ბრალად ედებოდა პარლამენტის წევრისგან ქრთამის მიღება კომპრომატული ინფორმაციის გამოუქვეყნებლობის სანაცვლოდ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჟურნალისტის საცხოვრებელ სახლში, სამუშაო სივრცესა და ავტომობილში ჩხრეკა-ამოღების ღონისძიებები ჩაატარეს, რის გამოც დაირღვა მე-10 მუხლი. საქმე *ემინ ჰუსეინოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Emin Huseynov v. Azerbaijan)* ეხება პოლიციის მიერ დამოუკიდებელი ჟურნალისტის თვითნებური დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. სასამართლომ კონვენციის მე-3, მე-5 და მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა. შემდეგში, აპლიკანტს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მოქალაქეობა ჩამოართვა, რაც ევროსასამართლოს განხილვის საგანი გახდა და სადაც კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა.

ჰილალ მამმადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Hilal Mammadov v. Azerbaijan)[17] ეხება გაზეთის მთავარი რედაქტორისა და თალიშების ეთნიკური ჯგუფის ლიდერის არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. აპლიკანტი ნარკოტიკების უკანონო ფლობის საფუძველზე პოლიციამ დააკავა და სცემა. სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლისა და 34-ე მუხლის (საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა) დარღვევა დაადგინა. განმცხადებელმა საჩივარი წარადგინა გაეროს თვითნებური დაკავების ჯგუფშიც, რომელმაც, დაადგინა თავისუფლების უფლების დარღვევა, სხვა უფლებებთან, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში.

საქმე *ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Ismayilova v Azerbaijan)[18]* ასახავს ჟურნალისტთა დევნის უფრო დეტალურ მეთოდებს, ვიდრე ეს არის თვითნებური დაკავებისა და ყალბი მტკიცებულებებით ბრალდების შემთხვევები. ხადიჯა ისმაილოვა ცნობილი გამომძიებელი ჟურნალისტია, რომელმაც გამოაქვეყნა სტატიები პრეზიდენტისა და მისი ოჯახის ჩართულობით ჩადენილ კორუფციის დანაშაულებზე. 2012 წელს, მას შემდეგ რაც მან მიიღო მუქარები რომ შეეწყვიტა საგამოძიებო ჟურნალისტური საქმიანობა, მის საცხოვრებელ სახლში დამონტაჟდა ფარული კამერები და მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა ინტერნეტში. ამის შემდეგ, ისმაილოვა ცრუ დასმენის საფუძველზე დააკავეს და ბრალად სხვა უფლებადამცველების მსგავსად, „ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის სავარაუდო უკანონო საქმიანობა“ დაედო. სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულ საქმეზე კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებთან ერთად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევასაც. დაპატიმრებისა და წაყენებული ბრალდებების რეალური მიზანი ხელისუფლების მხრიდან განმცხადებლის გაჩუმება და მისი ჟურნალისტური საქმიანობის გამო დასჯა იყო.

საქმეში *ჰუსეინოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Huseynova v Azerbaijan)[19]* დაირღვა სიცოცხლის უფლების პროცედურული ნაწილი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა სათანადო გულმოდგინებით არ გამოიკვლიეს განმცხადებლის მეუღლის მკვლელობა დაკავშირებული იყო თუ არა მის ჟურნალისტურ საქმიანობასთან. სასამართლოს შეფასებით, საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით, ეს მოტივი სრულიად არ იყო დაუჯერებელი. ჟურნალს, რომელსაც მსხვერპლი დამოუკიდებლად აქვეყნებდა, ხელისუფლებისა და ოპოზიციისადმი ძალიან კრიტიკულად განწყობილი რეპუტაცია ჰქონდა. ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას

ხელს უშლიდნენ. ამასთან, ჟურნალისტის წინააღმდეგ 30-ზე მეტი სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობდა. სასამართლოს შეფასებით, ნათელი იყო, რომ მის მკვლელობას შესაძლოა ქვეყანაში მყოფი სხვა ჟურნალისტების საქმიანობაზე მსუსხავი ეფექტი ჰქონოდა. ამგვარ გარემოებებში, საგამოძიებო ორგანოებს ჰქონდათ ყველა მიზეზი იმისათვის, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოეკვლიათ - მკვლელობას, რომელიც როგორც ჩანს, საგულდაგულოდ იყო დაგეგმილი, ჰქონდა თუ არა კავშირი განმცხადებლის მეუღლის ჟურნალისტურ საქმიანობასთან ან წარედგინათ სხვა, დამაჯერებელი ახსნა მკვლელობის მოტივებთან დაკავშირებით.

საქმე *ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Aliyev v. Azerbaijan)*[20] სასამართლოს მხრიდან შეფასდა, როგორც ხელისუფლების კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და უფლებადამცველების თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრების ნიმუში. იგი განხორციელდა რევანშისტული სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გზით, რამაც საბოლოო ჯამში, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა გამოიწვია. *ბაგიროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Bagirov v. Azerbaijan)* ეხება კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლის დარღვევას, რაც გამოიწვია ადვოკატისთვის უფლებამოსილების შეჩერებამ, მის მიერ პოლიციელთა სისასტიკეზე გამოთქმული კრიტიკის გამო.

რასულ ჯაფაროვი, ნატიგ ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Rasul Jafarov v. Azerbaijan[21] *Natig Jafarov v. Azerbaijan)*[22] ეხება ცნობილი ადამიანის უფლებათა და პოლიტიკური აქტივისტების დაკავებას არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მოქმედებების საეჭვოდ შეუსაბამობებთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა რომ განმცხადებლების დაკავება და დაპატიმრება განხორციელდა კონვენციაში გაუთვალისწინებელი მიზნების მისაღწევად, ესე იგი, ღონისძიებები განხორციელდა თვითნებურად, რათა ხელი შეშლოდა უფლებადამცველთა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსების საქმიანობას. ამ საქმეშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ დარღვევას ჰქონდა თვითნებური ბუნება, რომელიც ფესვგადგმულია აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენელების დამოკიდებულებებში და რაც გამოიხატება კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

სასამართლოს ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებები შეიძლება ჟურნალისტებისა და უფლებადამცველთა უფლებების მიმდინარე დარღვევების კარგი მანიშნებელი იყოს. შიდა სამართალწარმოებაში არსებული უფლების დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გადაწყვეტილებები ზოგჯერ რამდენიმე წლის წინ მომხდარ ფაქტს უკავშირდება, მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ფაქტები მაინც გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებს იმ საკითხების სიმწვავისა და მასშტაბის შეფასებისთვის, რომელიც კვლავ აწუხებს ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

1.1.4. მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობა გადაწყვეტილებების აღსრულებაზე

მინისტრთა კომიტეტი რამდენიმე წელია ზედამხედველობს ე.წ. მამადლის ჯგუფის (ყოფილი ილგარ მამადოვის ჯგუფი) გადაწყვეტილებების აღსრულებას. აღნიშნული ჯგუფი ეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გზით ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების გაჩუმების პრობლემას. მამადლის ჯგუფი არის კომპლექსური საქმეების ერთობლიობა, რომელსაც განსაკუთრებული პრიორიტეტი აქვს მინიჭებული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევების გამო, რაც მიანიშნებს ადამიანის უფლებების პოლიტიკურად მოტივირებულ დარღვევებზე.

ამ გადაწყვეტილებათა შესრულების ფარგლებში, ზოგადი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მოთხოვნილია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ბოროტად ან სხვა იძულებითი ღონისძიებების კრიტიკოსების, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ გამოყენებისგან. აღნიშნული მოიცავს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას. მინისტრთა კომიტეტმა თავის უკანასკნელ შუალედურ რეზოლუციაში მოუწოდა აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენელებს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ იმ პირთა უფლებების განგრძობადი დარღვევა, რომლებისთვისაც უზენაეს სასამართლოს ჯერ კიდევ არ გაუუქმებია ნასამართლეობა და ამ ფორმით მათი დარღვეული უფლებები არ აღმდგარა. კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ უფლებადამცველთათვის ნასამართლეობის გაუქმება რჩება გადამწყვეტ ზოგად ღონისძიებად, რომელიც შურისმაძიებელი და ბოროტად გამოყენებული დაკავებებისა და დევნის წინააღმდეგ ჩამოაყალიბებდა ერთგვაროვან და თანმიმდევრულ ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მინისტრთა კომიტეტმა 2022 წლის თებერვალში მიიღო აზერბაიჯანთან დაკავშირებით 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა. იგი მოიცავს რამდენიმე აქტივობის ერთობლიობას, რომლის მიზანია გაზარდოს აზერბაიჯანში კონვენციის სიტემის ეფექტურობა, მათ შორის უზრუნველყოს გამოხატვის, შეკრებისა და მედიის თავისუფლება.

1.1.5. ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმა

ევროსაბჭოს პლატფორმა ჟურნალისტიკის დაცვისთვისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, მისი მიზანია დახმარება გაუწიოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების რისკებზე სწრაფ რეაგირებასა და ხაზგასმას. პლატფორმის ბოლო გამოხმაურებები ეხება აზერბაიჯანში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ახალი კანონის მიღებას, [23] აგრეთვე, ჟურნალისტთა წინააღმდეგ ჯაშუშური პროგრამების (Pegasus Spyware) გამოყენებას.[24]

პლატფორმა თავის გამოხმაურებაში აღნიშნავს, რომ 2021 წელს აზერბაიჯანის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რიგ ცვლილებებს მედიასთან დაკავშირებით. კანონი ხელახლა აწესრიგებს მედიის საქმიანობის ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს და ადგენს ზოგად წესებს ინფორმაციის მიღების, მომზადების, გადაცემისა და ტრანსლირებისთვის. ცვლილებები ითვალისწინებს ჟურნალისტების საჯარო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ფლობს რეგისტრირებულ ჟურნალისტებზე/გამომცემლობაზე დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის პირად მისამართს, საბანკო ანგარიშებსა და სამუშაო კონტრაქტებს. მხოლოდ რეგისტრირებული გამომცემლები/ ჟურნალისტები, რომლებიც ფლობენ სპეციალურ პრეს-ქარდს, მიიჩნევიან ასეთად, სხვა ჟურნალისტებს შეზღუდული აქვთ საქმიანობა და ოფიციალურ წყაროებზე წვდომა. აღსანიშნავია, რომ რეესტრში რეგისტრაციის გადაწყვეტილება მიიღება ხელისუფლების მიერ, ტესტის შესაბამისად, რომლის შესახებაც დეტალები არ გაჟღერებულა. საზღვარგარეთ დაფუძნებული მედია გამომცემლები, ონლაინ მაუწყებლები და ჟურნალისტები ვერ შეძლებენ საქმიანობას აზერბაიჯანში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ქვეყნის შიგნით არ დარეგისტრირდებიან ასეთებად. კანონპროექტის თანახმად, ჟურნალისტებს აქვთ ახალ წესებთან შესაბამისობაში ყოფნის ვალდებულებაც, მათ შორის, ერთ-ერთია „ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური ინტერპრეტაცია", ფორმულირება, რომელიც უბიძგებს სასამართლოს განსხვავებული ინტერპრეტაციებისკენ და შეუძლია აკრძალოს არაოფიციალური წყაროდან მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელება. კანონის სხვა დებულება კრძალავს პირის წერილობითი თანხმობის გარეშე, მისი ნებისმიერი ფოტოს გავრცელებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საჯარო სივრცეში იმყოფება.

აღნიშნული დებულებები ერთი მხრივ, სავარაუდოდ შეზღუდავს ხელისუფლების ქმედებების კრიტიკულ გაშუქებასა და საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე საგამოძიებო რეპორტაჟებს, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული პირების კადრების გავრცელებას მთლიანად. კანონმა აზერბაიჯანელ ჟურნალისტებში პროტესტი გამოიწვია, რომლებსაც შეუერთდნენ მედიის თავისუფლების ორგანიზაციები. პროტესტის მონაწილეებმა ხელისფლებას კანონის გადახედვისკენ მოუწოდეს, თუმცა მას პრეზიდენტმა ხელი მოაწერა და ძალაში შევიდა. კანონზე ერთობლივი დასკვნა მოამზადა ვენეციის კომისიამ და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატმა. დასკვნაში კანონი მკვეთრად უარყოფითად არის შეფასებული. კომისიამ/დირექტორატმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და მედიის უკიდურესად შეზღუდული სივრცის კონტექსტში, კანონს ექნება დამატებითი მსუსხავი ეფექტი მათ საქმიანობაზე. კანონის ბევრი დებულება არ არის თავსებადი გამოხატვისა და მედიის თავისუფლების ევროპულ სტანდარტებთან და არ აძლევს მედიას საშუალებას ეფექტურად შეასრულოს მისი, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქცია.[25]

1.2. პრესის თავისუფლების ინდექსი

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე"-ს ინფორმაციით, პრესის თავისუფლების ინდექსში აზერბაიჯანი 180 ქვეყანას შორის 164-ე ადგილზეა.[26] ორგანიზაციის შეფასებით, ფაქტობრივად, მთლიანი მედია სექტორი ოფიციალური კონტროლის ქვეშაა და სახელმწიფო ტელევიზია ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარული წყაროა. ქვეყანაში არ გადაიცემა დამოუკიდებელი სატელევიზიო/რადიო მაუწყებლობა, ხოლო ყველა კრიტიკული ბეჭდური მედია დაიხურა. დამოუკიდებელი ონლაინ გამოცემების უმეტესობა, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ცენზურის სამიზნე გახდნენ, დაფუძნებულია საზღვარგარეთ. ხელისუფლება ცდილობს ჩაახშოს უკანასკნელი დამოუკიდებელი მედია საშუალებები, ასევე ჟურნალისტები, რომლებიც თვითცენზურას უარყოფენ. მათთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია და სახელისუფლებლო ორგანოები უარს ამბობენ მათ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. მედია რეგულირების სააგენტოების, ისევე როგორც ჟურნალისტთა ფედერაციის ხელმძღვანელები, მთავრობის მიერ არიან დანიშნულები. ხელისუფლება იყენებს პრო-სახელისუფლებო მედიებს, რათა კრიტიკოსებს მაკომპრომეტირებელი პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებით დაემუქროს.

ჟურნალისტებს რომლებიც შევიწროებას, შანტაჟსა და მოქრთამვის მცდელობებს უწევენ წინააღმდეგობას, აბსურდული ბრალდებებით აპატიმრებენ. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, არცერთი თანამდებობის პირი ან პოლიციის ოფიცერი არ დასჯილა ჟურნალისტების შეურაცხყოფისა ან ცემისთვის. ზოგადად, უსაფრთხოების სამსახურების თვალთვალის გამო, ჟურნალისტებს არ შეუძლიათ თავიანთი წყაროს დაცვის გარანტია ჰქონდეთ. ქვეყნიდან წასული ჟურნალისტების დამორჩილების მცდელობისას, აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყანაში დარჩენილ მათ ნათესავებსა და მეგობრებს ავიწროებს ან პირდაპირ ემიგრაციაში მყოფ ჟურნალისტებს ემუქრებიან. [27]

1.3. მედიის თავისუფლებაზე ეუთოს წარმომადგენელი და გაეროს სპეციალური მომხსენებელი

მედიის თავისუფლებაზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წარმომადგენელი აკვირდება მედიის განვითარებას ეუთოს 57-ვე წევრ სახელმწიფოში. იგი ადრეულად აფრთხილებს გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების დარღვევების შესახებ და ხელს უწყობს მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ეუთოს ვალდებულებების შესრულებას. სხვადასხვა დროს, არაერთმა წარმომადგენელმა დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება აზერბაიჯანში ჟურნალისტთა უფლებრივ მდგომარეობას. აზერბაიჯანში მედიის შესახებ მიღებული კანონის შეფასების გარდა,[28] ანგარიშებში მოხსენიებულია ჟურნალისტთა დაკავების კონკრეტული შემთხვევები,[29] აგრეთვე, ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების დევნის შემთხვევები.[30]

აზერბაიჯანში უფლებადამცველთა მდგომარეობის შესახებ გაეროს სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობით სიტყვის თავისუფლება გარანტირებულია, აზერბაიჯანში გამოხატვისა და მედიის თავისუფლების რეალიზაცია გამოწვევას წარმოადგენს. დამოუკიდებელი მედია გამომცემლობები ხშირად ხდებიან სამიზნეები. მათი ლიცენზიები კრიტიკული პოზიციების გამოთქმის გამო უქმდება. მასობრივი მედია საშუალებების კანონის შესაბამისად, ონლაინ მედია გამომცემლობები შეიძლება დაიხურონ ერთი წლის განმავლობაში ცილისმწამებლური ინფორმაციის ორჯერ გავრცელებისთვის. ანგარიშის მიხედვით, ჟურნალისტებისა და სოციალური მედიის აქტივისტების დასაშინებლად, ხელისუფლება ყალბი ბრალდებების საფუძველზე ადმინისტრაციულ დაკავებას იყენებს. შედეგად, ჟურნალისტთა უწყვეტმა შევიწროებამ წაახალისა თვითცენზურა, ყველაზე გამოჩენილ აქტივისტებს შორისაც კი. აღნიშნული ქვეყანაში ამცირებს ჟურნალისტიკის დაცვის როგორც ხარისხს, ისე რაოდენობას.[31]

1.4. საქართველოს მხრიდან აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეში საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის ფაქტი

საქართველოში, აზერბაიჯანელი ჟურნალისტების მიმართ ხელისუფლების მხრიდან გამოხატული დამოკიდებულების პრობლემურობა დღის წესრიგში პირველად 2017 წელს დადგა, როდესაც 29 მაისს თბილისის ცენტრიდან აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, აფგან მუხთარლი გაუჩინარდა. მომდევნო დღეს ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, სადაც აზერბაიჯანის სამართალდამცავებმა დააკავეს და ბრალი წაუყენეს საზღვრის უკანონო კვეთის, დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის კონტრაბანდისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის. ჟურნალისტი მიუთითებდა, რომ იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის, კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ქართულად მოლაპარაკე პირებმა გაიტაცეს და შემდეგ აზერბაიჯანელებს გადასცეს, რომლებმაც მას ხელბორკილები დაადეს და სასტიკად სცემეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავდაპირველად, გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

2024 წელს, შემთხვევის დაფიქსირებიდან 7 წლის გასვლის შემდეგ, აფგან მუხთარლის სავარაუდო გატაცების, არასათანადო მოპყრობისა და აზერბაიჯანში იძულებით გადაყვანის ცნობების ეფექტიანად გამოუძიებლობა დაედო საფუძვლად მის მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის დადგენას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.[32]

წინამდებარე საქმის ანალიზი

დაცვის მხარის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლის 2024 წლის [redacted], რომლითაც დასაშვებად იქნა მიჩნეული [redacted] ექსტრადიცია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის [redacted] გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის სარჩელი მისთვის ლტოლვის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განჩინების თანახმად, საქმეში წარმოდგენილი [redacted] ჟურნალისტის მოწმობის ასლი არ იძლეოდა აღნიშნული დოკუმენტის „თავშესაფრის პროცედურის" დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის N33 ბრძანების 33-ე მუხლით დადგენილი კრიტერიუმებით შეფასების შესაძლებლობას. ამასთან, სასამართლომ სანდოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ [redacted] არის [redacted]ს დამფუძნებელი, და აქვე აღნიშნავს, რომ „წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაციით, კერძოდ, BBC-ს რუსული სამსახურის მიერ 2024 წლის [redacted] გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, [redacted] ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ჟურნალისტია, რომელსაც რამდენიმე საპატიმრო სასჯელის მოხდა მოუწია. [redacted] აზერბაიჯანში იყო [redacted]ის მთავარი რედაქტორი. აღნიშნულ ინფორმაციას [redacted] შესახებ ასევე აქვეყნებენ Amnesty International და რადიო თავისუფლება. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ [redacted] იყო დამოუკიდებელი აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოს [redacted] ხელმძღვანელი."

სასამართლოების გადაწყვეტილებებში, ჟურნალისტური საქმიანობის გამო, განმცხადებლის რამდენჯერმე დაკავების ფაქტებთან დაკავშირებით, მითითებულია, რომ „სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნაში აღინიშნა, რომ საქმეზე წარდგენილი მასალებით და წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციით დადგინდა, რომ [redacted] რამდენჯერმე დააკავეს და დააპატიმრეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მტკიცება, იმის შესახებ, რომ აღნიშნული დაკავების ფაქტები განპირობებული იყო მისი ჟურნალისტური საქმიანობით. განმცხადებელი ანკეტირებისა და გასაუბრების პროცედურებზე თავადვე აღნიშნავდა, რომ ჟურნალისტური საქმიანობისას რაიმე პრობლემა არ შეჰქმნია, იგი დაუბრკოლებლად იკვლევდა, აგროვებდა ინფორმაციას, წერდა სტატიებს და აქვეყნებდა ვიდეოებს. მის ონლაინ საინფორმაციო პორტალს პრობლემები არ შეჰქმნია და იგი დღესაც ფუნქციონირებს."

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საერთო სასამართლოებმა, როგორც ადმინისტრაციულმა კოლეგიამ, ასევე საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ, არ უარყო [redacted] ჟურნალისტური საქმიანობა, არ შეუფასებია ჟურნალისტების უფლებრივი მდგომარეობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და მომავალში, განმცხადებლის უფლებების დარღვევა, რამდენად არის მოსალოდნელი.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2024 წლის [redacted] სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სადაც, გარდა სხვა საკითხებისა, ასევე იყო ინფორმაცია [redacted] წარმოშობის ქვეყნაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემებისა და ზოგადი მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, **თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაწყვეტილებაში დეტალურად არ განუხილავს და შეუფასებია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებების დარღვევების შემთხვევების მასშტაბები და შესაძლო მიმართება [redacted] სისხლისსამართლებრივ დევნასთან.**

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხარემ საქართველოს მხარეს წარმოუდგინა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დაცვის გარანტიები და იმ მტკიცებულებების ჩამონათვალი, რასაც ემყარება მის მიმართ ბრალდების დადგენილება, წარმოდგენილი მტკიცებულებების ჩამონათვალი არ არის შინაარსობრივად ინფორმაციული და არ იძლევა ბრალდების საფუძვლიანობის შეფასებისა და შესაბამისი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. [33]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად არ უმსჯელია არც თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს 2024 წლის [redacted] განჩინებაში, რომლითაც დასაშვებად მიიჩნია [redacted] აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით გამოძალვის ორი ეპიზოდის ფაქტზე.

გარდა ამისა, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან [redacted] მიმოსვლის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი და 2024 წლის [redacted] წინადადებით გამოძიების დაწყების მიზნით საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა. წინადადებაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ, დღეის მოცემულობით, სახალხო დამცველის აპარატს პროკურატურიდან პასუხი არ მიუღია.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაცვის მხარის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი [redacted] საექსტრადიციო საქმისწარმოების მასალების გაცნობის შედეგად, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს და შეაფასოს - ხომ არ შეიძლება უსაფუძვლო იყოს [redacted] მიმართ აზერბაიჯანში მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მიმდინარეობა გამოძალვის იმ ეპიზოდებთან მიმართებით, რომლისთვისაც დასაშვებად იქნა მიჩნეული მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, და ხომ არ უკავშირდება იგი [redacted] ჟურნალისტურ საქმიანობას. განსაკუთრებით იმ გარემოებების ფონზე, რა მდგომარეობაც არის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტების უფლებების დარღვევების კონტექსტში, რაზეც წინამდებარე დოკუმენტში დეტალურად იყო საუბარი.

ვიმედოვნებთ, მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტაცია და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებებრივი მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო შეფასებები სამართლოს განსახილველი საკითხების სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას [redacted] შუამდგომლობის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

პატივისცემით,

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნ. 4.
[2] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.
[3] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 55. ნაწ. 1.
[4] Shamaev and others v. Georgia and Russia, 36378/02, p. 335; Chahal v. the United Kingdom, 22414/93, pp. 73-74; Soering v. the United Kingdom, 2346/02, pp. 88-91; Cruz Varas and Others v. Sweden 15576/89, pp. 69-70.
[5] Shamaev and others v. Georgia and Russia, 36378/02, p. 337; Cruz Varas and Others v. Sweden 15576/89, p. 76.
[6] AS/Jur (2023) 11 23 March 2023 ajdoc11 2023 Committee on Legal Affairs and Human Rights Threats to life and safety of journalists and human rights defenders in Azerbaijan.
[7] იქვე, გვ.6, პუნქტი 30.
[8] Committee on the Honouring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe (Monitoring Committee) Honouring of obligations and commitments by Azerbaijan Information note by the co-rapporteurs on their fact-finding visit to Baku (4-6 July 2019).
[9] იქვე, გვ. 6.
[10] Resolution 2317 (2020) Threats to media freedom and journalists' security in Europe.
[11] Parliamentary Assembly, Resolution 2322 (2020) Reported cases of political prisoners in Azerbaijan.
[12] REPORT by Nils Muižnieks Commissioner for Human Rights of the Council of Europe Following his visit to Azerbaijan from 22 to 24 May 2013, OSCE Representative and Council of Europe Commissioner for Human Rights Condemn Sentencing of Journalist Khadija Ismayilova in Azerbaijan, 1 September 2015.
[13] Report Following the Visit to Azerbaijan from 8 to 12 July 2019, 11 December 2019.
[14] იქვე, გვ. 9
[15]<https://www.coe.int/en/web/commissioner/-/azerbaijan-s-authorities-should-immediately-release-human-right-lawyerelchin-sadykov-and-journalist-avaz-zeynalli-and-stop-intimidating-and-harassing>
[16] *ნაჯაფლი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Najafli v. Azerbaijan) განაცხადი 2594/07, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება.*
[17] *ჰილალ მამმადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Hilal Mammadov v. Azerbaijan), განაცხადი 81553/12, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.*
[18] *ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Ismayilova v Azerbaijan), განაცხადი 30778/15, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება.*
[19] *ჰუსეინოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Huseynova v Azerbaijan) განაცხადი 10653/10, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2017 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.*
[20] *ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Aliyev v. Azerbaijan), განაცხადი 68762/14 და 71200/14, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.*
[21] *რასულ ჯაფაროვი, (Rasul Jafarov v. Azerbaijan) განაცხადი 69981/14, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება.*
[22] ნატიგ ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Natig Jafarov v. Azerbaijan), განაცხადი 64581/16, ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.*
[23] < https://fom.coe.int/en/alerte/detail/107636954;globalSearch=false >
[24] < https://fom.coe.int/en/alerte/detail/104274511;globalSearch=false >
[25] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) AZERBAIJAN JOINT OPINION OF THE VENICE COMMISSION AND THE DIRECTORATE GENERAL OF HUMAN RIGHTS AND RULE OF LAW (DGI) OF THE COUNCIL OF EUROPE ON THE LAW ON MEDIA Adopted by the Venice Commission at its 131st Plenary Session (Venice, 17-18 June 2022).
[26]< https://rsf.org/en/country/azerbaijan >
[27] იქვე.
[28]< https://www.osce.org/representative-on-freedom-of-media/512941 >
[29] < https://www.osce.org/fom/179391 >
[30] < https://www.osce.org/fom/213301>, < https://www.osce.org/representative-on-freedom-of-media/488722>
[31] Report of the Special Rapporteur on the situation of human rights defenders on his mission to Azerbaijan, A/HRC/34/52/Add.3, 20 February 2017, pp. 40-44.
[32] მუხთარლი აზერბაიჯანისა და საქართველოს წინააღმდეგ, (Mukhtarli v. Azerbaijan and Georgia) განაცხადი 39503/17, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველს თავიდანვე მიაჩნდა, რომ [redacted] მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების წარმოება იმავე სამინისტროს მიერ ვერ უზრუნველყოფდა ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო დამოუკიდებლობის ხარისხს. შესაბამისად, სახალხო დამცველმა 2017 წლის 3 ივლისს წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, მიეღო გადაწყვეტილება [redacted] მიმართ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის პროკურატურის გამოძიებლებისთვის გადაცემის თაობაზე.[32] ამავე წინადადებით, სახალხო დამცველი ითხოვდა, [redacted] დაზარალებულის სტატუსი მინიჭებოდა, რათა მას და მის ადვოკატს მეტი შესაძლებლობა ჰქონოდათ, დაკვირვებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას, რომლის მიმართაც, როგორც წესი, ლეგიტიმური კითხვები ჩნდება.[32]

2017 წლის 20 ივლისიდან, სახალხო დამცველის წინადადების ნაწილობრივი გათვალისწინების შედეგად, [redacted] საქმე გამოსაძიებლად საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს გადაეცა,[32] თუმცა პროკურატურას ჟურნალისტისთვის დაზარალებულის სტატუსი 2021 წლამდე არ მიუნიჭებია.[32]

საყურადღებოა ისიც, რომ სახალხო დამცველი წლიურ ანგარიშებში გამოძიების მიმდინარეობის საწყის ეტაპზევე აკრიტიკებდა იმ გარემოებას, რომ პროკურატურა არ ახდენდა დანაშაულის დამამძიმებელი იმგვარი გარემოებების არსებობის ფაქტის გამოკვლევას, როგორებიცაა თავისუფლების უკანონო აღკვეთა წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით ან/და დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. აღნიშნული მხოლოდ გამოძიების დაწყებიდან 4 წლის შემდეგ მოხერხდა, როდესაც დანაშაულის კვალიფიკაცია დამძიმდა.[32]

მიუხედავად ზემოხსენებული დაგვიანებული, თუმცა პოზიტიური ცვლილებებისა, გამოძიება კონკრეტულ შედეგებამდე დღემდე არ მისულა, რაც სახალხო დამცველის არაერთ საპარლამენტო ანგარიშშია გაკრიტიკებული.[32] მათ შორის, სახალხო დამცველი მოუწოდებდა გენერალურ პროკურატურას, საზოგადოებისთვის პერიოდულად მიეწოდებინა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, რაც წარმოშობდა ნდობას გამოძიების დროულად და ეფექტიანად მიმდინარეობასთან დაკავშირებით და გააქარწყლებდა ეჭვს, რომ საქართველოს სახელმწიფომ თვალი დახუჭა ან გულგრილად მოეკიდა ჟურნალისტის გაუჩინარებას.

[33] დაცვის მხარის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის [redacted] წერილი არასრულად.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი